



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-87.87212162

თარიღი:04/08/2021

განკარგულება N24

2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატების გასაკრავად (გამოსაფენად) ადგილების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 46-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსი“ 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების შესაბამისად , ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. **2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით, ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატების გასაკრავად განისაზღვროს შემდეგი ადგილები:**

- ა) ახმეტის მუნიციპალიტეტში მდებარე კულტურის სახლების კაპიტალური მესერი;
- ბ) სახელმწიფო და ახმეტის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების კაპიტალური მესერი;
- გ) სახელმწიფო და ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული შენობა-ნაგებობების კაპიტალური მესერი (გარდა მათი ადმინისტრაციული შენობებისა), აგრეთვე მათ მიერ შექმნილი (დაფუძნებული) იურიდიული პირების საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული შენობა-ნაგებობების კაპიტალური მესერი;
- დ) სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე განთავსებული ღამის განათების ბოძები - სამი მეტრის სიმაღლემდე, მაგრამ ბოძზე დამონტაჟებულ კვანძებთან, სადენებთან და სხვა ელ-მოწყობილობებთან არაუმეტეს ერთი მეტრი სიხლოვისა.

2. აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკვრა საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ახმეტის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის ორგანოების, ახმეტის მაგისტრატი სასამართლოს, სამხედრო შენაერთებისა და პოლიციის შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე.

3. განკარგულება გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლი მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით, აგრეთვე გადაეგზავნოს ახმეტის №18 საოლქო საარჩევნო კომისიას.

4. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურ გამოცხადების დღემდე.
5. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ.№41).

თამარ ყვინიშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

